

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში**  
**სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია**

*[კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად]*

**1. ზოგადი დებულებანი.**

1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში – სტუ) ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას:

- I. ბაკალავრიატი;
- II. მაგისტრატურა;
- III. დოქტორანტურა.

1.2. I საფეხურის – ბაკალავრიატის ფარგლებში ხორციელდება მისი ქვესაფეხურის – დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო (პროფესიული უმაღლესი განათლების) პროგრამა.

1.3. სწავლების პირველი წლის პირველ სემესტრში ჩარიცხული სტუდენტებისათვის, დადგენილია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგი საანგარიშო (გეგმური) ვადები (სტუდენტის სტატუსის შეჩერების ხანგრძლივობის გარეშე, ანუ სწავლის ფაქტობრივი დრო):

- დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო (პროფესიული უმაღლესი განათლების) პროგრამაზე – 2,5 წელი (5 სემესტრი);
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე – 4 წელი (8 სემესტრი);
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე – 2 წელი (4 სემესტრი);
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე – 3 წელი (6 სემესტრი).

სტუ-ში, მობილობის ან აღდგენის წესით ჩარიცხული, აგრეთვე შიდა მობილობის წესით გადაყვანილი სტუდენტებისათვის, საგანმანათლებლო პროგრამების დასასრულებლად დარჩენილი ვადები და უნივერსიტეტთან წარმოქმნილი ყველა ფინანსური ვალდებულება იგივეა, რაც სწავლების იმავე საფეხურისა და წლის/სპეციალობის სტუდენტებისათვის, რომელზეც მოხდა მათი ჩარიცხვა. (27.05.2010 №256)

1.4. საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტის მიერ დასრულებულად (ათვისებულად) ითვლება, თუ იგი 1.3 და 5.7 პუნქტებით მითითებულ ვადებში დააგროვებს:

- დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო (პროფესიული უმაღლესი განათლების) პროგრამაზე – არანაკლებ 150 კრედიტს;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე – არანაკლებ 240 კრედიტს;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე – არანაკლებ 120 კრედიტს (მოიცავს საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვას);
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე – არანაკლებ 180 კრედიტს (მოიცავს დისერტაციის დაცვას). (21.05.2013 №926)

1.5. საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შემდეგი კვალიფიკაცია:

- დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო (პროფესიული უმაღლესი განათლების) პროგრამის შემდეგ – დიპლომირებული სპეციალისტი;
- ბაკალავრიატის შემდეგ – ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბაკალავრი);
- მაგისტრატურის შემდეგ – მაგისტრის აკადემიური ხარისხი (მაგისტრი);
- დოქტორანტურის შემდეგ – დოქტორის აკადემიური ხარისხი (აკადემიური დოქტორი).

საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ გაიცემა შესაბამისი დიპლომი დანართით.

1.5. სწავლება არის სემესტრული; სასწავლო წელი მოიცავს ორ სემესტრს. ერთი სემესტრის განმავლობაში 15 კვირა სასწავლოა (სააუდიტორიო მეცადინეობების) და 4 – სასესიო (დასკვნითი და დამატებითი გამოცდების). (27.05.2010 №256)

1.6. სემესტრის განმავლობაში ტარდება 2 შუალედური ტესტირება (27.05.2010 №256)

- 1.7. სწავლება წარიმართება მეცადინეობის ისეთი ფორმების საშუალებით, როგორცაა: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი, ლაბორატორიული სამუშაო, პრაქტიკა, საკურსო პროექტი/სამუშაო და სხვ.
- 1.8. თითოეული სასწავლო კურსი (საგანი), მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითვალისწინებდეს სწავლების ზემოჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე ფორმას.
- 1.9. სასწავლო პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჩატარდეს როგორც სასწავლო კვირებში, ისე სხვა დროს.

## 2. სასწავლო პროცესის ორგანიზება.

- 2.1. ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ორგანიზებას ახორციელებენ დეკანატი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური დეპარტამენტები, მიმართულებები.
- 2.2. პროფესორი/მასწავლებელი (შემდგომში პროფესორი) ვალდებულია სწავლება და სტუდენტთა მიღწევების შეფასება განახორციელოს აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსის მოთხოვნების დაცვით. (21.05.2013 №926)
- 2.3. სტუ-ს სწავლების დეპარტამენტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დეკანატებთან ერთად ვალდებული არიან აწარმოონ სწავლებისა და სტუდენტთა მიღწევების შეფასების მუდმივი მონიტორინგი.

## 2. სტუდენტთა მიღწევების შეფასება.

- 3.1. სტუ-ს სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ მის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის 3.3 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
- 3.2. თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.
- 3.3. სტუ-ში მიღებულია სტუდენტთა მიღწევების შეფასების შემდეგი სისტემა –
  - ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
    - ფრიადი – 91-100 ქულა;
    - ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
    - კარგი – 71-80 ქულა;
    - დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
    - საკმარისი – 51-60 ქულა.
  - ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:
    - (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
    - (F) ჩაიჭრა – 0-40 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.
- 3.4. 3.3 პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტთა მიღწევების შეფასება მთელი სასწავლო წლის/სემესტრის განმავლობაში 15 ყოველკვირეული შეფასების (მხოლოდ ბაკალავრიატსა და პროფესიულ უმაღლესში), ორი შუალედური გამოცდის (ტესტირების) და დასკვნითი გამოცდის შეფასებების დაჯამების საფუძველზე.
- 3.5. თითოეულ სასწავლო კურსში სტუდენტის ყოველკვირეული შეფასება (პროფესიული უმაღლესი, ბაკალავრიატი და მაგისტრატურა) უნდა მოიცავდეს მოცემული სასწავლო კურსის ყველა მეცადინეობის მიხედვით სწავლის შედეგების შეფასებების ჯამს. გაერთიანებული ჯგუფების ლექციაზე სტუდენტთა შეფასება არ ხდება. (21.05.2013 №926)
- 3.6. მეცადინეობებზე აქტიურობის შეფასებები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:
  - ახალი ამოცანის განხილვასა და ამოხსნაში მონაწილეობა;
  - სასემინარო თემის პრეზენტაცია;

- პრობლემის განხილვასა და დისკუსიაში მონაწილეობა;
  - ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარება და სხვ.
- 3.7. შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება წერილობითი ფორმით საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრის მეშვეობით. სტუდენტთა მიღწევების ელექტრონული ტესტირებით შეფასების სისტემაზე სრულად გადასვლამდე, აღნიშნულ გამოცდებს შეიძლება ჰქონდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ერთი ან რამდენიმე ფორმა:
- ბაკალავრიატის სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში, შერჩევით, სათანადო ტექნიკური უზრუნველყოფის კვალობაზე – ელექტრონული ტესტების ამოხსნა;
  - ყველა სხვა შემთხვევაში:
  - ტესტების ამოხსნა;
  - საკონტროლო წერა;
  - საკურსო სამუშაოს/პროექტის ფრაგმენტის შესრულება და სხვ. (01.06.20112 №677)
- 3.8. დასკვნითი გამოცდის ქულათა მაქსიმალური რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 40-ს. დანარჩენი ქულები ნაწილდება ყოველკვირეულ შეფასებებსა და შუალედურ ტესტირებებზე 3.9 და 3.10 პუნქტების მიხედვით. (01.06.20112 №677)
- 3.9. თითოეული სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) ავტორმა (ავტორებმა) მასში დეტალურად უნდა აღწეროს შეფასების სისტემა. (01.06.20112 №677)
- 3.10. შუალედური შეფასებების (ყოველკვირეული შეფასებები, შუალედური ტესტირებები) ქულების მაქსიმალური რაოდენობა, აგრეთვე შუალედური ტესტირებების პერიოდები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით სასწავლო სემესტრის ჩატარების შესახებ.
- 3.11. დასკვნით გამოცდაზე გასვლის ნება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 და მეტი ქულა, ამასთან შესრულებული აქვს სილაბუსით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი (ლაბორატორიული/პრაქტიკული/საკურსო და ა.შ.).
- 3.12. სტუდენტს უფლება აქვს ერთი სემესტრის განმავლობაში ყოველ სასწავლო კურსში:
- თითოეულ შუალედურ ტესტირებაზე გავიდეს, როგორც წესი, მხოლოდ ერთხელ;
  - სასესიო კვირების განმავლობაში დასკვნით გამოცდაზე გავიდეს მხოლოდ ერთხელ. (27.05.2010 №256)
- 3.13. საბოლოო დადებითი შეფასების გაფორმების მიზნით სტუდენტი არაა ვალდებული გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, თუ მას შუალედური შეფასებების (ყოველკვირეული შეფასებები, შუალედური ტესტირებები) ჯამში უგროვდება 51 და მეტი ქულა.
- 3.14. თუ დასკვნით გამოცდაზე დაშვებულმა სტუდენტმა შუალედური შეფასებებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში დააგროვა 41-50 ქულა (შეფასება FX), მას ეძლევა უფლება იმავე სემესტრის სასესიო კვირებში ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე, ხოლო დასკვნით ან/და დამატებით გამოცდებზე დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას სტუდენტს, სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით და რექტორის თანხმობით, შეიძლება მიეცეს გამოცდებზე გასვლის უფლება მომდევნო სემესტრის დაწყებამდე; (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)
- 3.15. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.
- 3.16. თუ სტუდენტმა შუალედური შეფასებების და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამში დააგროვა 40 და ნაკლები ქულა (შეფასება F – ჩაიჭრა), აგრეთვე 3.14 პუნქტით გათვალისწინებულ დამატებითი გამოცდის შედეგად დააგროვა 51 ქულაზე ნაკლები (შეფასება FX ან F), მას საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.
- 3.17. დეკანატი ვალდებულია სასწავლო სემესტრის დაწყებამდე 3 კვირით ადრე, მეცადინეობების ცხრილთან ერთად, შეადგინოს ტესტირების კვირებში ჩასატარებელი შუალედური გამოცდების (ტესტირებების) ცხრილი დღეების, საათების და აუდიტორიების მითითებით.

3.18.დეკანატი ვალდებულია საგამოცდო სესიის დაწყებამდე სამი კვირით ადრე, სასწავლო კურსების წამყვან პროფესორებთან შეთანხმებით, შეადგინოს დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ცხრილი დღეების, საათების და აუდიტორიების მითითებით.

3.19.გაუქმებულია. (01.06.20112 №677)

#### **4. სტუდენტის საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულებები**

4.1. სტუდენტი ვალდებულია დეკანატში გაიაროს ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება და/ან სწავლების საფასურის გადახდა) და აკადემიური (სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება) რეგისტრაცია; საფინანსო ხელშეკრულება ფორმდება სწავლების პირველ წელს – ჩარიცხვისას, ხოლო მობილობის ან აღდგენის წესით ჩარიცხვისას, უნივერსიტეტის ფარგლებში სპეციალობის შეცვლისას, სტუდენტის სტატუსის გაგრძელებისას ან სასწავლო კურსის ხელახლა გავლისას – სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებამდე, როგორც წესი, არანაკლებ ორი კვირით ადრე. (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)

4.2. საფინანსო ხელშეკრულება ფორმდება სტუდენტსა და სტუ-ს რექტორს შორის, სასწავლო ხელშეკრულება – სტუდენტსა და დეკანს შორის და შეიცავს სტუდენტის მიერ სასწავლო წლის (მობილობის ან აღდგენის წესით მეორე სემესტრის წინ ჩარიცხვისას – აღნიშნული სემესტრის) განმავლობაში გასავლელი სასწავლო კურსების ნუსხას (დანართი1). სასწავლო ხელშეკრულება წარმოადგენს საფინანსო ხელშეკრულების საფუძველს. (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)

4.3. შევსებულ საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულებებს ხელს აწერს უშუალოდ სტუდენტი; სტუდენტის არასრულწლოვანებისას საფინანსო ხელშეკრულებას ხელს აწერს ასევე მისი მშობელი. (30.07.2010 №301)

4.4. ხელშეკრულებები ფორმდება ორ ეგზემპლარად – ერთი რჩება სტუდენტთან, ხოლო მეორე ინახება დეკანატში სტუდენტის პირად საქმეში. დეკანის მიერ დამოწმებული საფინანსო ხელშეკრულების ასლი გადაეცემა უნივერსიტეტის აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტს. სტუდენტმა სწავლების საფასური უნდა გადაიხადოს საფინანსო ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში. (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)

4.5. სტუ-ში სტუდენტის მიერ გასავლელი (სავალდებულო და არჩევითი) სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების ჯამი თითოეულ სემესტრში უნდა იყოს 30, ხოლო წლიური სასწავლო დატვირთვა, დამატებით (ხელახლა) გასავლელი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს, მათ შორის ერთ სემესტრში – 45 კრედიტს.

4.6. სასწავლო კურსის ხელახლა გავლა შეიძლება შესაბამისი კურიკულუმით გათვალისწინებულ სემესტრში; სწავლების დეპარტამენტთან შეთანხმებით გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს სტუდენტისათვის, რომელსაც მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო სემესტრში შეექმნა სასწავლო კურსის ხელახლა გავლის შესაძლებლობა და თუ ეს ხელს არ შეუშლის სასწავლო პროცესის ნორმალურ მსვლელობას.

4.7. სასწავლო ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს:

- სტუდენტის გვარი, სახელი, მამის სახელი;
- პირადი ნომერი;
- აკადემიური წელი;
- სწავლების წელი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (აღნიშნული არ მიეთითება დიპლომირებული სპეციალისტის და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების პირველ წელს).
- სასწავლო კურსების დასახელება და შესაბამისი კრედიტების რაოდენობა.

4.8. სასწავლო ხელშეკრულებაში ჯერ მიეთითება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები, შემდეგ – სტუდენტის მიერ

არჩეული სასწავლო კურსები და ბოლოს – დამატებით (ხელახლა) გასავლელი სასწავლო კურსები.

- 4.9. თუ სტუდენტს დამატებით (ხელახლა) აქვს გასავლელი სასწავლო კურსები, მან სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების წინ დეკანატში უნდა მიიღოს კონსულტაცია; კონსულტაციის მიზანია დამატებით (ხელახლა) გასავლელ სასწავლო კურსებს შორის კურიკულუმის შესაბამისად წინმსწრები კურსების, აგრეთვე მათ გასავლელად ოპტიმალური პერიოდების შერჩევა.
- 4.10. სტუდენტს უფლება აქვს სემესტრის დაწყებამდე, როგორც წესი, არანაკლებ ორი კვირით ადრე გააფორმოს დამატებითი სასწავლო და შესაბამისი საფინანსო ხელშეკრულებები. დამატებით სასწავლო ხელშეკრულებაში მიეთითება სასწავლო კურსები, რომელთა ხელახლა გავლის საჭიროება შეიქმნა. (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)
- 4.11. სტუდენტმა სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნდა გაიაროს ხელშეკრულებაში (მათ შორის დამატებითში) მითითებული ყველა სასწავლო კურსი.
- 4.12. სასწავლო ხელშეკრულების შეცვლა სემესტრის განმავლობაში დაუშვებელია.
- 4.13. უნივერსიტეტს უფლება აქვს წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეუზღუდოს შეფასებების შეტანა ელექტრონულ უწყისებში ან/და შეუჩეროს სტატუსი სტუდენტს, რომელიც არ შეასრულებს საფინანსო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ან უნივერსიტეტის გადაწყვეტილებებს. ელექტრონულ უწყისებში შეფასებების შეტანის შეზღუდვა განხორციელდება ვალდებულების ვადის გასვლიდან ერთ კვირის შემდეგ, ხოლო 6 კვირის მანძილზე სტუდენტის მხრიდან სათანადო რეაგირების არ არსებობის შემთხვევაში მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. (21.05.2013 №926)
- 4.14. ფინანსური დავალიანების გამო იზღუდება სტუდენტის მონაწილეობა სასწავლო პროცესში და არ ხდება მისი სწავლის შედეგების შეფასებების ასახვა ელექტრონულ უწყისებში. (21.05.2013 №926)

## 5. სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება.

- 5.1. სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ მის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
- 5.2. სტუდენტთა მიღწევების შეფასება განისაზღვრება 3.3 პუნქტის მიხედვით.
- 5.3. F - უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია სასწავლო კურსი ხელახლა გაიაროს მომდევნო სასწავლო წლის/წლების განმავლობაში.
- 5.4. სასწავლო კურსის ხელახლა გავლისათვის სტუდენტმა სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა:
  - შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას;
  - გააფორმოს დამატებითი სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებები;
  - გადაიხადოს სასწავლო კურსის გავლის საფასური. (21.05.2013 №926)
- 5.5. სასწავლო კურსის გავლის საფასური გამოითვლება ფორმულით:

$$Q = \frac{S}{60} \times n,$$

სადაც  $S$  არის იმ საგანმანათლებლო პროგრამის ერთი სასწავლო წლის სწავლების საფასური, რომელზეც სწავლობს სტუდენტი,  $n$  – სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა. (27.05.2010 №256)

- 5.6. აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს 5.4 პუნქტის პირობების შესრულების შემდეგ ერთი და იგივე სასწავლო კურსი გაიაროს რამდენჯერმე საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვამდე; სტუდენტს უფლება აქვს, რომელიმე სასწავლო კურსის (საგნის) საბოლოო დადებითი შედეგის გაუმჯობესების მიზნით, სწავლების დეპარტამენტის თანხმობის და 5.4 პუნქტის პირობების შესრულების შემდეგ, დეკანის ბრძანებით, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების გეგმურ ვადაში, ხელახლა, მხოლოდ ერთხელ გაიაროს

სასწავლო კურსი. (27.05.2010 №256)

- 5.7. საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს აღნიშნული პროგრამის დასასრულებლად, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით, სწავლა გააგრძელოს დამატებითი სემესტრების განმავლობაში: ბაკალავრიატში – არა უმეტეს 4 სემესტრისა, სწავლების დანარჩენ საფეხურებზე (დიპლომირებული სპეციალისტის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე) – არა უმეტეს 2 სემესტრისა. თუ გეგმური ვადის ამოწურვისას სტუდენტის აკადემიური დავალიანება ბაკალავრიატში აღემატება 120 კრედიტს, ხოლო სწავლების დანარჩენ საფეხურებზე – 60 კრედიტს, სტუდენტს უფლება აქვს ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ შეიცვალოს სპეციალობა. შესაბამისად, სტუ-ში პირს სტუდენტის სტატუსი ჯამურად, როგორც წესი, შეიძლება ჰქონდეს ბაკალავრიატში – არა უმეტეს 12 სემესტრისა, დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამაზე – არა უმეტეს 7 სემესტრისა, მაგისტრატურაში – არა უმეტეს 6 სემესტრისა, დოქტორანტურაში – არა უმეტეს 8 სემესტრისა. დამატებით სემესტრში/სემესტრებში სწავლის გაგრძელების, ან სპეციალობის შეცვლის თაობაზე მან სწავლის დამთავრების მომდევნო სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს. შესაბამისი ბრძანება გამოიცემა სტუდენტთან ფინანსური და სასწავლო ხელშეკრულებების საფუძველზე. სწავლების დამატებით სემესტრში/სემესტრებში გასავლელი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება 4.5 პუნქტის მიხედვით. სტუდენტისთვის სწავლების დამატებით სემესტრში/სემესტრებში გასავლელი სასწავლო კურსების შესაბამისი ღირებულება განისაზღვრება 5.5 პუნქტის თანახმად, ბოლო სასწავლო წლის სწავლის საფასურის მიხედვით, ხოლო სპეციალობის შეცვლისას სწავლების წლიური საფასური და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში დამატებით გასავლელი სასწავლო კურსების ღირებულება იქნება იგივე, რაც დადგენილია მიმდები ფაკულტეტის სწავლების იგივე საფეხურის და წლის სტუდენტებისათვის. (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)
- 5.8. სტუდენტს, რომელიც ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობას 5.7 პუნქტით მითითებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვადებში, დეკანის წარდგინებით ერთი თვის ვადაში შეუწყდება სტუდენტის სტატუსი და ის დიპლომის ნაცვლად მიიღებს შესაბამის ცნობას. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოსვლიდან თორმეტი თვის განმავლობაში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმდები დაწესებულების წესდებასთან. (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)
- 5.9. სტუდენტის მიერ დაგროვებული კრედიტების რაოდენობა აღიწერება სტუდენტის სასწავლო ბარათში (დანართი 2), რომელიც ინახება მის პირად საქმეში.
- 5.10. სტუდენტის სასწავლო ბარათში თითოეულ სასწავლო კურსში დაგროვებული კრედიტებისა და მიღებული შეფასებების შესახებ ინფორმაცია ჩაიწერება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ წარმოდგენილი სტუდენტთა შეფასების უწყისის მიხედვით.
- 5.11. თუ სტუდენტმა დაასრულა (სრულად დაამთავრა) საგანმანათლებლო პროგრამა და შეჩერებული არ აქვს სტუდენტის სტატუსი, კალენდარული წლის ბოლომდე მას უნდა მიენიჭოს შესაბამისი კვალიფიკაცია და მიეცეს დიპლომი დიპლომის დანართთან ერთად. კვალიფიკაციას ანიჭებს: ბაკალავრიატსა და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე – საფაკულტეტო ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო კომისია, მაგისტრატურაში – რექტორის ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის საგამოცდო კომისია; დოქტორანტურაში – სადისერტაციო საბჭოს

- გადაწყვეტილებით შექმნილი სადისერტაციო კოლეგია. სწავლების საფეხურის და სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტს მიეცემა დიპლომირებული სპეციალისტის, დიპლომირებული სპეციალისტის წარჩინების, ბაკალავრის, ბაკალავრის წარჩინების, მაგისტრის, მაგისტრის წარჩინების ან დოქტორის დიპლომი. (16.12.2011 № 576)
- 5.12. კვალიფიკაციის მისანიჭებლად და დიპლომის მისაღებად სტუდენტს დაგროვებული უნდა ჰქონდეს 1.4 პუნქტით განსაზღვრული რაოდენობის კრედიტები.
- 5.13. წარჩინების დიპლომის მისაღებად ყველა საგანში მიღებული შეფასებების საშუალო შეწონილი სიდიდე (მაგისტრატურაში – აგრეთვე საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შეფასება) უნდა იყოს 91 და მეტი ქულა.
- 5.14. საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს, რომელიც 5.7 პუნქტში მითითებულ ვადაში განცხადებით არ მიმართავს რექტორს დამატებით სემესტრში/სემესტრებში სწავლის გაგრძელების ან სხვა სპეციალობაზე გადასვლის თაობაზე, აღნიშნული ვადის ამოწურვიდან ერთი თვის ვადაში დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. აღნიშნულმა პირმა სტატუსის აღდგენის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულებლად ან სპეციალობის შესაცვლელად განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს მობილობის ვადებში, სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე. (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)
- 5.14<sup>1</sup>. პირს, რომელსაც ამ ინსტრუქციის 5.7 პუნქტით განსაზღვრული წესით გაუგრძელდება სტუდენტის სტატუსი ან 5.14 პუნქტით განსაზღვრული წესით აღუდგება სტუდენტის სტატუსი, გასავლელი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობების დაცვისა და მოცულობის (კრედიტების რაოდენობის) საფუძველზე განესაზღვრება სწავლების დამატებითი სემესტრების რაოდენობა; ბრძანებაში მიეთითება აგრეთვე სწავლების სემესტრების რიგითი ნომრები (მაგალითად, ბაკალავრიატის სტუდენტს შეიძლება მიეცეს უფლება სწავლა გააგრძელოს სწავლების მეცხრე, მეცხრე-მეათე, მეცხრე-მეთერთმეტე ან მეცხრე-მეთორმეტე სემესტრებში). (24.02.2012 № 607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)
- 5.14<sup>2</sup>. სტუდენტის მიერ სპეციალობის შეცვლა, სტატუსის გაგრძელება, სასწავლო კურსის ხელახლა გავლა, სტუდენტის სტატუსის აღდგენა, აგრეთვე კურსდამთავრებულისათვის დიპლომის, დიპლომის დანართის ან ცნობის გაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ფინანსური დავალიანების დაფარვის შემდეგ. (24.02.2012 №607) (ძალაში შევიდეს 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისიდან)
- 5.15. დოქტორანტის მიერ დისერტაციის დაგვიანებით წარდგენასთან ან წარუდგენლობასთან და დისერტაციის დაცვაზე უარყოფითი შეფასების მიღებასთან დაკავშირებით სტატუსის გაგრძელების, შეჩერების და შეწყვეტის, აგრეთვე სტატუსის აღდგენის საკითხები განხილულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს დებულებაში. (01.06.20112 №677)
- 5.16. გაუქმებულია. (01.06.20112 №677)
- 5.17. გაუქმებულია. (01.06.20112 №677)
- 5.18. გაუქმებულია. (01.06.20112 №677)
- 5.19. გაუქმებულია. (01.06.20112 №677)
- 5.20. გაუქმებულია. (01.06.20112 №677)

## 6. სტუდენტთა შეფასების უწყისი.

- 6.1. სტუდენტთა შეფასების უწყისი (შემდგომში – უწყისი) არის თითოეულ სასწავლო კურსში (საგანში) ერთი აკადემიური ჯგუფის სტუდენტების მიღწევების (ყოველკვირეული შეფასებები, შუალედური გამოცდები (ტესტირებები), დასკვნითი და

დამატებითი გამოცდა) ნაკრები (დანართი 3). სწავლების სხვადასხვა საფეხურისა და სასწავლო კურსისათვის/კომპონენტისათვის უწყისს შეიძლება ჰქონდეს მე-3 დანართისაგან განსხვავებული ფორმა. ეს უკანასკნელი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით სასწავლო სემესტრის ჩატარების შესახებ. (21.05.2013 №926)

- 6.2. უწყისის ელექტრონული ვერსია (შემდგომში – ელექტრონული უწყისი), რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, უნდა შეიცავს 6.5 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ; დაუშვებელია უწყისის სხვა პირის მიერ შევსება. ელექტრონულ უწყისში ყოველკვირეული შეფასებების, შუალედური გამოცდების (ტესტირებების), დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ფანჯრები გაიხსნება და დაიხურება სასწავლო სემესტრის ჩატარების შესახებ რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე მყოფი სტუდენტებისათვის ამავე ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში ელექტრონულ უწყისში გაიხსნება პირველი, მეორე და მესამე შუალედური გამოცდის (ტესტირების), აგრეთვე დასკვნითი/დამატებითი გამოცდების უჯრები. (21.05.2013 №926)
- 6.3. უწყისში ინფორმაციის შეტანისას სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი უნდა დაეყრდნოს სასწავლო კურსის ფორმატით გათვალისწინებული სემინარის, პრაქტიკის, საკურსო სამუშაოს/პროექტის ან სხვა სახის მეცადინეობების წამყვანი მასწავლებლების მონაცემებს.
- 6.4. უწყისში მოყვანილ ინფორმაციაზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი.
- 6.5. სწავლების ყველა საფეხურის სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასების, შუალედური გამოცდის (ტესტირების) შედეგები მომდევნო კვირის სამშაბათს 17 საათამდე, ხოლო დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში, 17 საათამდე შეიტანოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში; დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია აგრეთვე თემატური სემინარის შედეგები შეიტანოს შესაბამის ელექტრონულ უწყისში სემინარის ჩატარებიდან მომდევნო 2 სამუშაო დღის განმავლობაში, 17 საათამდე; სემესტრის ბოლოს, არაუგვიანეს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ვადისა, ხოლო შეფასებების კორექტირებისას (თუ კორექტირებამ გამოიწვია საბოლოო შეფასების ცვლილება) – კორექტირების განხორციელებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა, წამყვანი პროფესორი აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი მოახდენს უწყისის რეგისტრაციას, დეპარტამენტის უფროსის მიერ დამოწმებული უწყისის ერთ ეგზემპლარს ჩააკრებს შესაბამის საქალაქო დეპარტამენტში, ხოლო მეორე ეგზემპლარს გადასცემს დეკანატს არსებული წესის მიხედვით, სადაც მოხდება საბოლოო რეგისტრაცია და მონაცემების შესაბამისი ჟურნალებში (პასპორტებში) გადატანა, აგრეთვე დეკანატის ავტომატიზებული მართვის სისტემაში ასახვა. (21.05.2013 №926)
- 6.6. ზოგადად უწყისში უნდა აისახოს:
  - 6.6.1. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დასახელება;
  - 6.6.2. აკადემიური ჯგუფის ნომერი;
  - 6.6.3. სწავლების წელი და სემესტრი;
  - 6.6.4. აკადემიური წელი;
  - 6.6.5. სწავლების საფეხური;
  - 6.6.6. სასწავლო კურსის/კომპონენტის დასახელება;
  - 6.6.7. წამყვანი პროფესორის სახელი და გვარი;
  - 6.6.8. სასწავლო კურსის/კომპონენტის შესაბამისი კრედიტების რაოდენობა;
  - 6.6.9. სწავლების (მეცადინეობების) ფორმა(ები) და კვირეული აკადემიური დატვირთვა (საათების რაოდენობა);
  - 6.6.10. სტუდენტის გვარი და სახელი;



- 6.6.11. კვირის ნომერი სემესტრის დაწყებიდან;
- 6.6.12. ყოველკვირეული შეფასებების, შუალედური გამოცდების (ტესტირებების) და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური ქულების რაოდენობა;
- 6.6.13. სტუდენტების მიერ ფაქტობრივად მიღებული/დაგროვებული ქულების რაოდენობა;
- 6.6.13. წამყვანი პროფესორის ხელმოწერა;
- 6.6.14. აკადემიურ დეპარტამენტსა და დეკანატში რეგისტრაციის აღნიშვნები და პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები. (21.05.2013 №926)

6.7. ელექტრონულ უწყისში შეფასებების კორექტირების თაობაზე პროფესორის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათების წარმოდგენა, როგორც წესი, უნდა დასრულდეს მიმდინარე სემესტრში, შეფასებიდან მომდევნო ორი კვირის განმავლობაში. (21.05.2013 №926)

საფუძველი: “საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ”;

”საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანება “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”;

”საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №105 ბრძანება “უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ”.

### ***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტი***

*დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 22 იანვარს დადგენილება №198, ცვლილებები შეტანილია დადგენილებებით: 27.05.2010 №256, 30.07.2010 №301, 16.12.2011 №576, 24.02.2012 №607, 01.06.2012 №677, 21.05.2013 №926)*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი

სასწავლო ხელშეკრულება

- ❖ შევსებული უნდა იქნას სტუდენტის მიერ;
- ❖ ჩაიბეჭდოს ან შეივსოს გარკვევით;
- ❖ სასწავლო ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად. ერთი პირი რჩება სტუდენტთან, მეორე პირი – დეკანატში და ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

სტუდენტის პირადი ნომერი

სტუდენტი

სახელი	გვარი	მამის სახელი
აკადემიური ჯგუფი №	აკადემიური წელი	-
სწავლების წელი: <input type="checkbox"/> პირველი <input type="checkbox"/> მეორე <input type="checkbox"/> მესამე <input type="checkbox"/> მეოთხე <input type="checkbox"/> დამატებითი		
საგანმანათლებლო პროგრამა: <input type="checkbox"/> პროფესიული უმაღლესი <input type="checkbox"/> ბაკალავრიატი <input type="checkbox"/> მაგისტრატურა <input type="checkbox"/> დოქტორანტურა		

პროგრამის დასახელება

არჩეული სასწავლო კურსები		
სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა
<b>სავალდებულო სასწავლო კურსები</b>		
<b>არჩევითი სასწავლო კურსები</b>		
კრედიტების ჯამი		
<b>დამატებით (ხელახლა) გასავლელი სასწავლო კურსები</b>		
კრედიტების ჯამი		
სულ კრედიტების ჯამი		

სტუდენტი			ფაკულტეტის დეკანი		
გვარი და სახელი	ხელმოწერა	თარიღი	გვარი და სახელი	ხელმოწერა	თარიღი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი

სტუდენტის სასწავლო ბარათი

- ❖ ჩაიბეჭდოს ან შეივსოს გარკვევით
- ❖ ივსება დეკანატში და ინახება სტუდენტის პირად საქმეში
- ❖ იბეჭდება ერთ ფურცელზე, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ფურცლის უკანა მხარე

სტუდენტის პირადი ნომერი

სტუდენტი

სახელი	გვარი	მამის სახელი

საგანმანათლებლო პროგრამა:  პროფესიული უმაღლესი  ბაკალავრიატი  მაგისტრატურა  დოქტორანტურა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	ქულა
	I სემესტრი		
	კრედიტების ჯამი		–
	I სემესტრის საშუალოდ შეწონილი ქულა	–	
	II სემესტრი		
	კრედიტების ჯამი		–
	II სემესტრის საშუალოდ შეწონილი ქულა	–	
	კრედიტების საერთო ჯამი		–
	საშუალოდ შეწონილი ქულა	–	
	საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვის შეფასება	–	

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტის

№ . . . . აკადემიური ჯგუფის სტუდენტთა შეფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი:  სემესტრი:  აკადემიური წელი:

სწავლების საფეხური:  პროფესიული უმაღლესი განათლება  ბაკალავრიატი  მაგისტრატურა  დოქტორანტურა

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი პროფესორი

ECTS კრედიტი:  სწავლების ფორმა და კვირული დატვირთვა, სთ :  ლექცია:  პრაქტიკული:  ლაბორატორიული:  სხვა:   
 პრაქტიკა:  სემინარი:  საკურსო პროექტი\ სამუშაო:

№	გვარი, სახელი	კვირის №															საბოლოო შეფასება, ქულა: მაქსიმალური/გამსვლელი					
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15		16, 17, 18, 19				
		შუალედური შეფასებები, ქულა																გამოცდა, ქულა				
		ყოველკვირეული						I შუალედური გამოცდა (ტესტირება)	ყოველკვირეული						II შუალედური გამოცდა (ტესტირება)	სულ შუალედური შეფასებები, ქულა		დასკვნითი	დამატებითი			
		2	2	2	2	2	2	20	2	2	2	2	2	2	20	2	2	2	70	30	30	100/51
1																						
2																						
<b>შენიშვნა</b>																						

სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი	ინიც. და გვარი	ხელმოწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დეპარტამენტის უფროსი	ინიც. და გვარი	ხელმოწერა	რეგ.№ თარიღი	

